

საგაზეთო

საგაზეთო
პარკეტის
მწარმოებელი

ქრონიკალი
ბიზნისი

საერთო უფასო

სამშაბათი 17 აპრილი 2004 №189 (2210)

ფასი 50 თეთრი



ATHNA 2004

ტორპეა თვლა დაიწყო უმკაცრი არ არის, ამფიბია!

ნესტორ ხერგიანმა ოლიმპიადის მარჯვედ დაიწყო, ვიფიქრეთ, საქართველოსთვის მედლების წვიმა ნამოვარო, მაგრამ სხვა ძიუდოსტები ნესტორით ვერ მიიბრძვიან. დავით მარგოშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლა დათმო, მისი სენია ქვეხიშვილი კი ცოტა ქვევით შეყოვნდა. ამასობაში ოლიმპიადის მჩქეფარე ტალღებს

ყველაზე მარჯვედ მოცურავე იან ტორპე მიაპობს, მის კისერზე უკვე ორი ოქროა. გუშინ ოზმა კაცმა-ამფიბიამ 200 „თავისუფალ“ მეტრზე ამერიკელ მაიკლ ფელპსსა და ჰოლანდიელ პიტერ ვან დენ ჰუგენბანდს მიასწრო, თანაც ამ უკანასკნელს ოთხი წლის წინ სიდნეიში დამყარებული ოლიმპიური რეკორდი ნაჰგვარა.



REUTERS ათენიდან

POURQUOI? ჟიკას მოღვაწე მიჰყვება ბევრი მწარე კითხვა. როგორა კასუს ის ალბათ თურქეთში მიიღებს



ბადრი კათილასის ფოტოები



ლევან ჯორჯაძის და მის „ვალენს“ არც სვანდა სჭირდებათ, არც ახსნა-განმარტება: ლევანი ჰირვალდი დაქანებისთანავე თბილისში ჩამოდის და ნაარებისთვის მუღამ მზადაა

პატარკასციხვილის ალიბი



ბადრი კათილასის ფოტო

ალბერტო დუალიბი, ნილგები და სულაბ დინამო-კორინთიანსი

გუშინ თბილისის „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე დიდი ამბავი იყო. დილომს კლუბის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციხვილი და ბრაზილიის ყველაზე სახელოვანი და პოპულარული კლუბის, სან პაულუს „კორინთიანსის“ პრეზიდენტი ალბერტო დუალიბი ამალითურთ ესტუმრნენ. მიზეზი? „დინამო“ და „კორინთიანსი“ დაძმობილდნენ და როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, კლუბებს შორის თანამშრომლობის პროექტი იმდენად სერიოზულია, ნუ გაიკვირვებით, ცოტა ხანში „კორინთიანსი“ და „დინამო“ სულაც რომ გაერთიანდნენ. ისე კი, ბრაზილიელთა პრეზიდენტი ამ ორ კლუბს ახლავე ასე მოიხსენიებს — „დინამო-კორინთიანსი“, ან პირიქით. დილომში კი პრეზიდენტებმა „დინამოსა“ და „კორინთიანსის“ სამომავლო თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც, ასე ვთქვათ, იმ პროექტის პრეზენტაცია იყო, რომლის განხორციელებასაც ქართველები და ბრაზილიელები ერთად აპირებენ.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

რატომ გვასხანდება დაუვიწყარი მისტარ ბლეფი — პიტარ ბონდი და მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა: ბადრი პატარკაციხვილი დინამოს გარდა სხვა გუნდებთანაც არის დაკავშირებული?



ATHENS 2004



ATHENS 2004

16 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004



წყალში სპორტი

პაცეპი

- 3 მეტრი ტრამპლინი. სინქრონული
- 1 სირანიდისი-ბიმიისი (საბერძნეთი)
 - 2 ველსი-შელენბერგი (გერმანია)
 - 3 ნიუბერი-ბარნეტი (ავსტრალია)

ქალები

- 10 მეტრი კოშკურა. სინქრონული
- 1 ლაო-ლი (ჩინეთი)
 - 2 გონჩაროვა-კოლტუნოვა (რუსეთი)
 - 3 ჰარტილი-ჰეიმანსი (კანადა)

ფარიკაობა

პაცეპი

- ინდივიდუალური. რაბირა
- 1 ბრის გიარი (საფრანგეთი)
 - 2 სალვატორე სანცო (იტალია)
 - 3 ანდრეა კასარა (იტალია)

ბანარჯიში

პაცეპი

- გუნდური
- 1 იაპონია
 - 2 აშშ
 - 3 რუმინეთი

კიუდო

პაცეპი

- 73 კგ
- 1 ლი ვუნ-ჰი (ს.კორეა)
 - 2 ვიტალი მაკაროვი (რუსეთი)
 - 3 ლეანდრო გილეირო (ბრაზილია)
 - 3 ჯეიმს პედრო (აშშ)

ქალები

- 57 კგ
- 1 ივონ ბენიხი (გერმანია)
 - 2 კი სუნ-ჰი (ჩრდ. კორეა)
 - 3 დებორა გრავენსტაინი (ჰოლანდია)
 - 3 იურისლევდი ლიუპეტეი (კუბა)

კალოსნობა

პაცეპი

- 62 კგ
- 1 ში ჟიონი (ჩინეთი) 325 კგ
 - 2 ლე მაოშენი (ჩინეთი) 312,5 კგ
 - 3 ლეონიდას სამპანისი (საბერძნეთი) 312,5 კგ

ქალები

- 58 კგ
- 1 ჩენ იანცინი (ჩინეთი) 237,5 კგ
 - 2 რი სონ-ჰოი (ჩრდ. კორეა) 232,5 კგ
 - 3 ვანდე კამეიამი (ტაილანდი) 230 კგ

სროლა

ქალები

- 10 მ. სტენდი
- 1 სიუზან ბალო (ავსტრალია)
 - 2 მარია კინტანალი (ესპანეთი)
 - 3 ბო ნა-ლი (ს. კორეა)

პაცეპი

- 10 მ. პნემატური შაშხანა
- 1 უუ ცინანი (ჩინეთი)
 - 2 ლი ცზი (ჩინეთი)
 - 3 იოზეფ გონჩი (სლოვაკეთი)

სურვა

პაცეპი

200 მ. თავისუფალი

- 1 იან ტორპი (ავსტრალია) 1.44,71წთ
- 2 ჰიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია) 1.45,23
- 3 მაიკლ ფელპსი (აშშ) 1.45,32

100 მ. გულაღმა

- 1 აარონ პირსოლი (აშშ) 54.06 წმ
- 2 მარკუს როგანი (ავსტრალია) 54.35
- 3 ტომომი მორიტო (იაპონია) 54.36

ქალები

100 მ. გულაღმა

- 1 ნატალი კუგლინი (აშშ) 1.00,37 წთ
- 2 კირსტი კოვენტრი (ზიმბაბვე) 1.00,50
- 3 ლაურა მანადუ (საფრანგეთი) 1.00.88

100 მ. ბრასი


- 1 ლუო სიუცზიუანი (ჩინეთი) 1.06,64 წთ
- 2 ბრუკ ჰენსონი (ავსტრალია) 1.07.15
- 3 ლიზელ ჯონსი (ავსტრალია) 1.07,16

ქვეყნების დანა

	ო	ვ	ბ	სულ
1 ჩინეთი	10	4	1	15
2 ავსტრალია	6	2	5	13
3 იაპონია	5	1	1	7
4 აშშ	3	5	5	13
5 საფრანგეთი	2	2	3	7
6 იტალია	2	2	1	5
7 თურქეთი	2	0	1	3
7 უკრაინა	2	0	1	3
9 რუსეთი	1	5	2	8
10 გერმანია	1	2	1	4
11 უნგრეთი	1	1	1	3
12 ს. კორეა	1	0	2	3
12 ტაილანდი	1	0	2	3
14 საბერძნეთი	1	0	1	2
15 სამხრეთ აფრიკა	1	0	0	1
16 ჰოლანდია	0	2	3	5
17 ჩრდ. კორეა	0	2	0	2
17 პოლონეთი	0	2	0	2
19 სლოვაკეთი	0	1	1	2
20 სპარტოპელო	0	1	0	1
20 ავსტრია	0	1	0	1
20 დიდი ბრიტანეთი	0	1	0	1
20 ინდონეზია	0	1	0	1
20 პორტუგალია	0	1	0	1
20 სერბეთ-ჩერნიგორია	0	1	0	1
20 ესპანეთი	0	1	0	1
20 ზიმბაბვე	0	1	0	1
28 კუბა	0	0	3	3
29 ბელგია	0	0	2	2
29 ბულგარეთი	0	0	2	2
31 არგენტინა	0	0	1	1
31 ბრაზილია	0	0	1	1
31 კანადა	0	0	1	1
31 კოლუმბია	0	0	1	1
31 ჩეხეთი	0	0	1	1
31 მონღოლეთი	0	0	1	1
31 რუმინეთი	0	0	1	1



საბერძნეთის პირველი ოქრო ნიკოლაუ სირანიდისმა და ტომას ბიმიისმა მოუტანეს



ამ რუს დედაყაყებს გუნება-ხასიათი კუბელმა ფრენბურთელებმა წაუხდინეს რუსეთი — კუბა 2:3



გაგონიერი ათენური არ გვასვენებენ რუსებმა ჩახსივნილი მძლავრე არ მიუშვეს



დავით ქვეციშვილი (თეთრ კიმონოში) იაპონელებს მასპირო ტაკამაცუ დაუმარცხა

მესამე ქართველმა ძიუდოისტმა დავით ქვეციშვილმა გუშინ ისე დაიწყო, მანამდე კენჭისყრით უკმაყოფილო გულშემატკივრების ფიქრი უმაღლეს მძლავრს მი-

სწვდა... იაპონელ კაცებს წინა ორ დღეს არც ერთი შეხვედრა არ წაეგოთ და, ცხადია, მასპირო ტაკამაცუსა 73-კილოგრამში ყველა ფავორიტებში მოიხსენიებდა.

ქვეციშვილმა მეტოქის ფავორიტობა არაფრად ჩააგდო. მისმა ჭიდაობამ ორი წლის წინანდელი თბილისის საერთაშორისო ტურნირი გაგვახსენდა, რომლის ჩემპიონ-

ბამაც დავითი ნაკრებში დაამკვიდრა. ტაკამაცუს ჭკვიანურად შეუტია და მალე კოკაც აუღო. კოკაც ტაბლოზე აინთო, თორემ ის გდება იუკოდ უნდა შეფასებულიყო. ქართველმა მალე იპონის მსგავსი ილეთიც მოიპოვა, თუმც მსაჯის გადაწყვეტილებით ვაზარი მიუთვალეს. ამ დროს ბრძოლის დასრულებამდე ორ წუთზე ნაკლები რჩებოდა. მართალია, ქვეციშვილმა გამარჯვება ხელიდან აღარ გაუშვა, მაგრამ გახვედრულ იაპონელს გვარიანი ენერჯია დაახარჯა.

მეორე მეტოქე რუსი ვიტალი მარკოვი იყო, საკმაოდ ძლიერი ძიუდოისტი, რომელთანაც ჩვენებურს აქამდე ასპროცენტის მარჯვენელი ჰქონდა — ორი შეხვედრიდან ორივე წმინდად მოეგო. ძნელი სათქმელია, რომ დავითი ამ უპირატესობის გამო ხალიჩაზე ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა ან იაპონელთან დაღვამ შებორკა, მაგრამ ფაქტია, მაკაროვმა ისე მოუგო, გონს მოსვლა არ აცალა.

ქართველის მარცხით ტაკამაცუმაც იზარალა, ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი დაკარგა. ქვეციშვილს კი საამისოდ რუსის ერთი გამარჯვება სჭირდებოდა. მაკაროვმა სულაც ფინალამდე გააღწია, ჯერ მონღოლ დამინ სულდბაიარს სძლია, ხოლო შემდეგ ფრანგ ევროპის ჩემპიონ

დანიელ ფერნანდესს. რეპეშაჟში კაიოტირჩის მეტოქე დილუდენს მისცა და მაკაროვის ჯაგირი მარცხი იყარა. რეპეშაჟში კი ვერენტო ალექსანდრისა და მინდოლი სულდბაიარის დამწუხრების შემდეგ ბრინჯაომდე ორი მოგებაა აკლდა, მაგრამ ბრაზილიელ ლეანდრო ვილეიროს ვეღარ გასცდა.

შეხვედრა ისე დასრულდა, ვერც ერთმა ქულა ვერ გააკეთა. გადამწყვეტი ერთადერთი გაფრთხილება აღმოჩნდა, რომელიც რუსმა არბიტრმა ანატოლი ტროფიმოვმა ქვეციშვილს მისცა. არ გვინდა, ჩვენებურის მარცხი ჩრდილოელ მეზობელს გადავბრალდოთ, მაგრამ გასაფრთხილებელი ქვეციშვილზე მეტად თუნდაც იმ ეპიზოდში და მის მერეც ბრაზილიელი უფრო იყო. აქვე ქვეციშვილის ის ორი იპონიც გავიხსენოთ, ხალიჩის გარეთ გაკეთებულ ფანდელ მინჩევის გამო რომ გაუქმდა.

ბრაზილიელმა დარჩენილი ბოლო ბრძოლაც წარმატებით ჩაატარა და ბრინჯაოს დაეუფლა. ბრინჯაოსვე შესწვდა სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი ჯეიმს პედროც. ათენური ჩემპიონობა კი მერვედფინალიდან დამფრენმა სამხრეთ კორეელმა ვონ ჰი ლიმ იხემა.

ოთარ მაღლაკელიძე

ქანჭი გვიყარს, ტატამი გვიჩვენებს...


ნესტორ ხერგიანის მშვენიერმა ჭიდაობამ და „მოვერცხლილმა სტარტმა“ დოპინგით უნდა იმოქმედოს ქართველ ძიუდოისტებზე. შოთა ხაბარელის „ლომები“ მშვილდით არიან დაჭი-

მულეები, ტატამზე გასვლას მოუთმენლად ელიან და ღმერთმა ქნას, დარჩენილი ოთხეულიდან ერთ-ერთმა მაინც დაჩრდილოს (რა თქმა უნდა, კარგი გაგებით) ნესტორის წარმატება...

გუშინ კი დავით ქვეციშვილის გამოსვლის გარდა ქართველთათვის საინტერესო ის მოხდა, რომ ძიუდოში ყველა წონით კატეგორიაში გამართა კენჭისყრა. ჩვენმა ბიჭებმა თავიანთი პირველი და მომდევნო სავარაუდო მეტოქეების (ფინალამდე) ვინაობა შეიტყვეს. ვერ ვიტყვით, რომ ავრორამ ხაბარელის ბიჭებისთვის გაისროლა, მაგრამ ოლიმპიადის და „კ“ კლასის ფალავნებს აქ ვინ „გაჩუქებს“...

ლინი იქნება. მოგების შემთხვევაში ქუთაისელი ფალავანი ბრაზილიელ ფალავო კონტესა და კოლუმბიელ ანტონიო მარიო ვალესს შორის მჯობს დაეჭიდება. ხაბარელის „შესანიშნავი შედეგულიდა“ ყველაზე ნაკლებად სწორედ მამრიკიშვილისა გვეიმედება, მაგრამ მას არცთუ სახელიანი პირველი მეტოქეების ძლევა ნაღდად შეუძლია. თუ ასე მოხდა, მესამე წრეში ჩვენებური რუს დმიტრი ნოსოვს, იტალიელ რობერტო მელონის, პორტუგალიელ ნუნუ დელგადოს ან იაპონელ მასპირო ტომუჩის გადაეყრება.

აქვე საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ქართველზე ილიას ილიადისზეც (იგივე ჯარჯი ზვიადური) ვთქვათ. ერთ-ერთი ფავორიტი ილიადისი პირველად ავსტრიელ მორგან დევისს დაეჭიდება. ხოლო შემდეგ არიელ შანგასა (არგენტინა) და სერგეი აშვანდენს (შვეიცარია) შორის მოგებულთან დაიჭერს საქმეს. ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტში მამრიკიშვილი — ილიადისის ბრძოლას მეოთხე წრეში, ანუ ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ვიხილავთ.



ლაშა გუჯეჯიანის პირველ მეტოქედ ვეება თურქი სელიმ თათაროღლუ ერგო

კრივი

ოზორიას შერიფი უხვდა



ტატამიდან რინგზე გადავი-ნაცვლოთ: მოგესხენებათ, დღეს მეტექსმეტედფინალში ქართველი მოკრივე ნიკოლოზ იზორია (51კგ) ტუნისელი ვალიდ შერიფის „დალილაგებას“ შეეცდება. შეხვედრა თბილისის დროით საღამოს 9-ის ნახევარზე დაიწყება თუ იზორიამ მოიგო, 21 აგვისტოს ფუად ასდანოვსა (აზერბაიჯანი) და ჯოაჟან რაკოტოაპიბედოს (მაგადასკარი) შორის ნაყოჩალებს შეეხება. სავარაუდოდ მერვედფინალში ჩვენებურისა და ასდანოვის დაპირისპირება უნდა შედგეს...

პირველ წრეში უქმად მყოფი კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) კი ათენურ რინგზე 20 აგვისტოს ავა. გუშინ მისი მეტოქის სახელიც შევიტყვეთ — კორეელი კიმ სონგ ჩუ, რომელიც ასევე პირდაპირ მოხვდა მერვედფინალში.

18 აგვისტო (90 კგ): რთულ ბადეში მოხვდა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყოჩი ზურაბ ზვიადური. ახმეტელმა ძიუდოისტმა პირველ წრეში უპრობლემოდ უნდა წააქციოს იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე, ხოლო მეორე მეტოქედ სახელიან რუს ხასანბი ტაოვსა და კუბელ იოსკეინ დესპაინს შორის საუკეთესო ეყოლება. მესამე ჯერზე ზვიადური გაბრიელ ლამასთან (ჩილე), ხოსე გოლდშმიტთან (მექსიკა), ბრაიან ოლსონთან (აშშ) ან ფრედერიკ დემონფუკოსთან (საფრანგეთი) პირისპირ დადგება ტატამზე. ისე, ათენში ქართული დელეგაციის მედროშეს ერთის მხრივ აშკარად გაუმართლა — ფინალამდე იაპონელ პიროში იზუმის და კორეელ ჰვანგს (ვისთანაც გასულ წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წააგო) ასცდება.

19 აგვისტო (100 კგ): ივერი ჯიქურაულს მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ მონღოლთან — ბიტჯარგად ოდხუუსთან მოუწევს საწყისი პაექრობა. ამას თუ

გასცდა, ნაკრების ყველაზე უიღბლო ფალავანი პარაგვაელ რამონ აიალასა და ალფირელ სამი ბელგურს შორის უძლიერესს შეხვდება. და თუ ეს ბრძოლაც მოიგო, ივერის მომდევნო სავარაუდო მეტოქეებად ესენი იგულები: ჰანო პელტოლა (ფინეთი), ხოსე ვასკესი (დომინიკის რესპუბლიკა), იპარ მაკარაუ (ბელარუსი), აშხატ ჟიტკიევი (უზბეკეთი).

20 აგვისტო (+100 კგ): კენჭისყრამ მძიმე გამოცდა მოუწყო ლაშა გუჯეჯიანს და პირველივე ბრძოლაში გამოცდილ თურქ სელიმ თათაროღლუს შეჰყარა. ისე, წუწუნ არ ღირს, რაკი ლაშას ეს თურქი წლებანდელ ევროპის ჩემპიონატზე ჰყავს დაბრყევი. ეს წრე თუ გაარდვია, გუჯეჯიანს

ირანელი სეიად მაჰმუდრეზა მირანი ან ჰაიტელი ჟოელ ბრუტუსი ელის.

აქედან არც ერთი არ არის გარდაქმანი და, შეიძლება ითქვას, გუჯეჯიან — თათაროღლუს შორის მოგებულმა მესამე წრეს იოლად უნდა უწიოს, სადაც მაჯიდ ალაპლის (კუვეიტი), მარტინ ბუნზაუერის (აშშ), სემირ პეპინის (ავსტრალია) ან სერხიო ანდრეს კამაჩოს (კოლუმბია) უძლიერესი დახვდება. და კიდევ, ფინალში გასსვლელ ბრძოლაში გუჯეჯიანის სავარაუდო მეტოქეები ზემძიმე წინითი კატეგორიის „გოლიათები“ რუსი ტამერლან ტემნოვი და ტონელი ჰენდრიკ პეტერსონი შეიძლება იყონ.

ილია ნანობაშვილი

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



კულტურული შატალი

სამთავრიანი იანუსი

ლიკავიტუსის მთიდან



ლიკავიტუსის მთა ათენელების ფუნიკულიორია. ახლა ლიკავიტუსის მთაზე ვეგარ და ჩვენი ფუნიკულიორი კი არა, ორთავა იანუსი მახსენდება.

სხვისი არ ვიცი და, ოლიმპიური თამაშები მე ორთავა იანუსს მაგონებს, რომლის ერთი სახე სპორტული ბაზებისკენაა შებრუნებული, მეორე კი ხელოვნებისა და საერთოდ კულტურისკენ. ასეა ოლიმპიური თამაშების დასაბამიდან დღემდე.

ანტიკური ოლიმპიური თამაშებისას თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ: ორატორები, მწერლები, პოეტები, საჭრეთლის ოსტატები... ეს ტრადიცია თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე 1912 წლიდან აღორძინეს და 1948 წლამდე იმართებოდა ხელოვნთა კონკურსები, სადაც გამარჯვებულებს ისეთივე მედლებით აჯილდოვებდნენ, როგორც სპორტულ სარბიელზე თავგამოჩენილ ათლეტებს. 1948 წლიდან მიივიწყეს ხელოვნთა კონკურსები და დაფუნეს ნაირგვარი გამოფენები. ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიური თამაშების პერიოდში დაფუნდა კულტურული ოლიმპიადების საერთაშორისო კომიტეტი და მრავალი ქვეყნის ანალოგიური ეროვნული კომიტეტი. ათენი, როგორც 1896 წლიდან პირველი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, ახლა პირველი კულტურული ოლიმპიადის მიმღებიც გახდა.

ასე რომ, ახლა ათენში ერთდროულად ორი ოლიმპიადა მიმდინარეობს. ამიტომაც ლიკავიტუსის მთაზე მდგომი მეც ორთავა იანუსით ორ მხარეს ვიციკირები, გული ორივე მხარეს მიმიწევს, მაგრამ სამსახურებრივი ვალდებულებების გამო იძულებული ვარ, სპორტულ ბაზებზე ვირბინო. უფრო სწორად, ბაზებზე კი არა, ერთ ბაზაზე — აქაურ „ავჯალაში“ მდებარე სპორტის სასახლეში, სადაც ძიუდოსისტები გამოდიან და სადაც მალე ტატამის ნაცვლად მოჭიდავეთა ხალიჩა გაიშლება. და რაკი ჩემი ყოველდღიური მარშრუტი: სასტუმრო-პრესცენტრი-ძიუდოს დარბაზი-პრესცენტრი-ძიუდოს დარბაზი-პრესცენტრი-სასტუმრო ჩვეულებრივ მხოლოდ გზაში საშუალოდ 6-7 საათს მართმევს, გასაგებია, რომ ჩემი ინტერესის სულ ოდნავ დასაკმაყოფილებლად „შატალი“ დამჭირდება.

ჰოდა, ახლა რამდენიმეწუთიან შატალოზე ვარ აქ, ლიკავიტუსის მთაზე. თუმცა ეს რაღა შატალია, როცა აქაც გულამოვარდ-

ნილმა და ოფლში გავითქულმა ისევ სამსახურებრივი ვალდებულებების გამო ამოვირბინე, ამ იზოლირებულ, პირველ კულტურულ ოლიმპიადაზე ზოგადად მაინც მეთქვა რამე.

ოჯახაშენებულო, თუ ზოგადად აპირებ საუბარს, მაგ პაპანაქებაში რაღა მაგ მთაზე სირბილით იკლავდი თავსო, ალბათ მკითხავთ, მაგრამ აქ შემთხვევით სულაც არ ამოვსულვარ. ვერ ერთი, მე ორი კი არა, სამთავა იანუსით ვარ და მესამე მხერა მუდამ მთისკენ გამიბრბის. მეორეც, აქედან ისე კარგად მოსჩანს თეთრი ათენი, როგორც ფუნიკულიორიდან თბილისი და მესამე — ლიკავიტუსის მთაზე კულტურული ოლიმპიადის პროგრამით 1 ივლისიდან ფესტივალი მიმდინარეობს, რომელიც 31 ოქტომბრამდე გასტანს. ღია ცის ქვეშ ერთმანეთს ენაცვლება თეატრალური წარმოდგენები, ცეკვა თუ სიმღერა. აქეთ ხოაკინ კორტესს ფლაპენკოს ცეკვისგან ფეხებზე ბოლი ასდის, იქით კი მღერის და გალობს „მოზი“, „დენდი უორპოზი“, „მასივ ეთექა“, ჯეინ ბირკინი. ცოცხლდება შექსპირი.

ისე, ჩვენში დარჩეს და, ოლიმპიური თამაშები და კულტურული ოლიმპიადა რომ არა, ლიკავიტუსის მთაზე ასეთი ფესტივალი ყოველწლიურად იმართება. ისევე როგორც მის ქვემოთ ტრადიციული ბერძნული ცეკვების ფესტივალი ან ათენის ფესტივალი, რომლებიც ახლა კულტურული ოლიმპიადის პროგრამით ეწყობოდა. და მაინც, ამჟამინდელს სულ სხვა ხიბლი და გაქანება აქვს.

ათენის ფესტივალი 1 მაისს დაიწყო და 30 სექტემბრამდე გასტანს. იგი პართენონის ძირში მასთან და საერთოდ აკროპოლისთან შერწყმული ჰეროდ ატიკის ოდენში მიმდინარეობს, სადაც ადამიანი წარსულსაც უბრუნდება. აქ სარბიელს ერთმანეთს უთმობენ ბერლინის ფილარმონიის ორკესტრი თუ ლონდონის სიმფონიური ორკესტრი, არის ვენის სახელმწიფო ოპერის მიერ დადგმული შტრაუსის „სალომეა“ და ვერდის „ნაბუკოც“... ეს ყოველივე ულუწანოდ წარმოუდგენელია და პავაროტიც გალობს...

ტრადიციული ბერძნული ცეკვების ფესტივალს, ტრადიციისამებრ, ფილოპაპოს ბორცი მასპინძლობს. აქ ყოველდღამთ ცეკვავს და როკავს ქალბატონ დორა სტრატის თეატრის დასი. ეს დასი ბერძენთათვის იგი-

ვეა, რაც ჩვენთვის სუხიშვილისა და რამიშვილის ვარსკვლავთკრებული და იმავდროულად ირლანდიური კულტურის პროპაგანდისტი „რივერდანი“.

ათენის საკონცერტო დარბაზში წარმოდგენებს რომ არ დაესწროთ, მისი ფოიეს დათვალიერებისას დაიხუნძლებით შთაბეჭდილებებით. აქ მოუწყვიათ გამოფენა, რომლის ექსპონატებიც მოგვითხრობენ ანტიკური ბერძნული ცივილიზაციის დროინდელ ქორეოგრაფიისა და მუსიკის ისტორიას. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა თემატიკა: მუსიკა და ცეკვა პრეისტორიულ საბერძნეთში, მუსიკისა და ცეკვის ამსახველი ნუმიზმატიკის ნიმუშები, მუსიკალური ინსტრუმენტები...

თუ შატალია, შატალი იყოს და შევიხედოთ ათენის ეროვნულ გალერეაში, სადაც 9 ივნისს დაიწყო და 4 ოქტომბრამდე გასტანს გამოფენა, რომელსაც ეწოდება „ქანდაკების ექვსი მესტრო და ადამიანის სხეული“. აქ საგანგებოდ კულტურული ოლიმპიადისთვის ჩამოუტანიათ ბრანკეისი, ჰენრი მურის, როდენის, ჯაკომეტის, ბურდელის, მაიოლის მართლაც უკვდავი ქმნილებები, რომლებიც ადამიანის სხეულის მშვენიერებას გვიჩვენებენ, მათ კი, ვისაც მარმარილოსა თუ ბრინჯაოში ასახული ადამიანის სხეული კი არა, ცოცხალი, მოძრავი მდღერის ან მამრის ხილვა უნდა, უნდა ეწვიოს ოლიმპიურ თამაშებს, სადაც ათასობით იდეალური სხეულის ზეიმი და დემონსტრაციაა. და საერთოდ, ათენის ეს ოლიმპიური თამაშები და კულტურული ოლიმპიადა რომც არ ჩატარებულიყო, აქაურობა ისედაც სავსეა ძველი კულტურის დიდებით.

ახლა მივატოვოთ ლიკავიტუსის მთაზე გატარებული საქმიანი შატალი და დავეშვოთ სადაც ქვემოთ, გადასაკარგავ გლიფადის რაიონში მდებარე „ქართულ სახლში“. აქ 15 აგვისტოსაც ჩვენებმა თავისებურად ბანი მისცეს კულტურულ ოლიმპიადას და მოაწყვეს ათენის ქართულ-ბერძნული საზოგადოებრიობის შეხვედრა-საუბრები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, სპორტსმენებთან და ჟურნალისტებთან.

ამ ოლიმპიადაზე აკრედიტებულმა ჩვენმა კოლეგა პაატა ნაცვლიშვილმა — რომელიც წარმოგვიდგინეს როგორც ცნობილი ჟურნალისტი, კულტურული ოლიმპიადის სა-

ქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი — წაიკითხა მოხსენება „ოლიმპიური მოძრაობა და საქართველო“. და გამახსენდა რამდენიმე წლის წინანდელი მისი მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც საქართველოში ბერძნული კულტურის დღეებს დაუკავშირდა. იმ მოხსენებას ესწრებოდა „თბილისის“ მომღერალი ბერძენი იოვანაც, რომელსაც სხვა მისი თანამემამულეებივით პაატას ნამბობზე გაკვირებისგან ყბა ჩამოვარდნოდა. ახლა კი ჩვენმა კოლეგამ ათენში მცხოვრები ქართველობაც გააკვირვა, რომლებიც ბლომად მოვიდნენ ამ ლექციაზე.

აქვე — გამოჩენილმა მოჭადრაკემ, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ექვსგზის ჩემპიონმა, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა — როგორც „ქართული სახლის“ დიასახლისი ნანა ალექსანდრია იყო წარმოდგენილი, წაიკითხა მოხსენება თემაზე „ქართული საჭადრაკო სკოლა — წარმატებები, პრობლემები, პერსპექტივები“.

საინტერესო იყო ათენში ქართული ინსტიტუტის დირექტორის, დოქტორ ავთანდილ მიქაბერიძის გამოსვლა. ვინის წიგნის მრავალგზის რეკორდსმენისა და გმირის, უპირველეს ყოვლისა, ველოსიპედით გარესაქვეყნო მოგზაურობით სახელგანთქმული ვუმბერ ლეჟავას ნამბობიც, ხოლო მეტად ამაღლეველები — ათენში მცხოვრები ქართველების სტუმრობა, მათთან შეხვედრა და მათივე ქართული სიმღერები, რომლებმაც ხაჭაპურითაც გაახალისეს იქაურობა.

ერთი სიტყვით, ეს შატალიანი კვირა საღამო „ქართულ სახლში“ ჭეშმარიტად ქართული გამოდგა. კვირას ორშაბათი მოჰყვა, ორშაბათი კი მიიმე დღეა. თუმცა, აქ სულ ორშაბათია.

ირანი სიონიზმის წინააღმდეგ

სპარსმა ებრაელთან არ იჭიდავა



REUTERS ათენიდან

არაშ მირესმაელმა ებრაელთან ჭიდიობა თუკადრისა

კვირას ირანელი ძიუდოსისტი არაშ მირესმაელი ებრაელ ეჭუდ ვაკს უნდა დაჭიდებოდა, თუმცა სპარსელის გამო ბრძოლა არ შედგა. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ირანელი სპორტსმენები რამეს მოიმიზეზებენ და ებრაელების წინააღმდეგ გამოსვლას თავს არიდებენ.

საქმე ისაა, რომ ოფიციალური ირანი სახელმწიფოდ საერთოდ არ ცნობს ისრაელს და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში უკანონოდ მიიჩნევენ.

ებრაული ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენელი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან ირანელთა დასჯას ითხოვს. ედი კოზმა აცხადებს, რომ მათი საქციელის

უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან სხვა ქვეყნებისთვის ცუდი მაგალითი იქნება. კოზმამ იმ მიზეზზეც თქვა, რომლის გამოც მირესმაელმა ბრძოლას თავი აარიდა. აწონვისას ის 66 კილოგრამზე მეტს იწონდა და შესაბამისად ჭიდიობის უფლება ამ წონით კატეგორიაში ვერ ექნებოდა, მაგრამ, კოზმას მტკიცებით, ირანელმა სპეციალურად მოიმატა წონაში და ესეც რომ არ იყოს, გამოსვლა რომ სდომებოდა, მისთვის წონის დაკლება პრობლემა არ იქნებოდა. მართლაც უამრავი შემთხვევა ყოფილა, როდესაც აწონვისას ჭარბი წონის მქონე სპორტსმენს წაუვარჯიშა და საჭირო წონა დაუბრუნებია.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მოხელე მაიკლ ბროუსი აცხადებს, რომ მირესმაელის დასჯა იოლი არაა, რადგან ოფიციალური წესდება ჭარბი წონის მქონე

სპორტსმენის მიმართ რაიმე სანქციების გატარებას არ ითვალისწინებს.

ირანის მთავრობის წარმომადგენელი აბდოლა რამაზანზადე კი აღფრთოვანებას ვერ მალავდა თანამემამულე სპორტსმენის ამ საქციელის გამო. „ჩვენ არ ვცნობთ სიონისტურ რეჟიმს და ბოიკოტს ვუცხადებთ ყველა იმ ქვეყანას, რომელიც სიონისტური რეჟიმის დროშით ასპარეზობს“. აქვე რამაზანზადემ ისიც აღნიშნა, რომ ისრაელი თავად არდევდა ოლიმპიურ პრინციპებს, როცა თამაშებში პალესტინის მონაწილეობას ეწინააღმდეგებოდა. „მშვიდობისა და მეგობრობის სახელით, საჭიროა, ბოლო მოეღოს ოკუპაციას და ამაში თავისი წვლილი სავსებითაა შეიტანა“. „მშვიდობისა და მეგობრობის სახელით, საჭიროა, ბოლო მოეღოს ოკუპაციას და ამაში თავისი წვლილი სავსებითაა შეიტანა“.

ლადო ფულუბიძე




სპორტის ფოტო

ქართული
ბიზნისი

ბოლო წელიწადნახევარში
ამ ქალს მესამედ ამოუვარდა.
ოღონდ არ იყითხოთ, რა.



ანაფები,
ბანაფები,
რომელია
ქვეხოს ფები?



ჩინელ დიდჯაცს,
ალბათ, წაგება უწყინა

წყალწვერა
აღამიანი-ამფიბია



არ მომკვდარა,
მხოლოდ სძინავს



მანდელას ხათრით

აფრიკელთა შავი მხრალზე დაბრუნება



ნელსონ მანდელამ „მაორების“ კაპიტან ტანა უმაგას წაგება მიუსამძიმრა

14 აგვისტო. ღურბანი

სამხრეთ აფრიკა 40:26 ახალი ზელანდია

სამხრეთ აფრიკა: 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვეტ ბერი, 11 ჟან დე ვილერსი; 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ბოლა კონრადი (ფური დიუპრე); 8 ჯო ფან ნიკერკი (ჟაკ კრონხე); 7 გერი ბრეცლი, 6 შალ ბურგერი, 5 ვიქტორ მუტფილდი, 4 ბაიზ ბოთა (ვიჯი ვენტერი), 3 ვედი ენდრიუსი, 2 ჯონ სმიტი (კაბ), 1 ოს დუ რანტი (სი ჯეი ფან დერ ლინდე)

5 ლალო: ჟუბერი (3) პოლსი, დე ვილერსი

3 ბარდსახვა: მონტგომერი; 3 საჯარო: მონტგომერი

ახალი ზელანდია: 15 მილს მულიანა, 14 დაგ პაულეტი, 13 ტანა უმაგა (კაბ), 12 სემ ტუიტუპუ (აარონ მაუგერი), 11 ჯო როკოკო; 10 ენდრიუ მერტენსი, 9 ჯასტინ მარშალი (ბაირონ კელმერი), 8 ხავიერ რაში (მონხეს ტულიალი), 7 მარტი პოლა (კრეივ ნიუბი), 6 ჯონო გიბსი, 5 საიმონ მალინგი, 4 კრის ჯეკი, 3 კარლ ჰეიმანი, 2 კევინ მელამუ, 1 ქისი მიიუსი (გრეგ სომერვილი)

2 ლალო: მულიანა, როკოკო

2 ბარდსახვა: მერტენსი; 4 საჯარო: მერტენსი

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფრიკული კონტინენტის ყველაზე თეთრ ქვეყანაში აპარტეიდის რეჟიმი დაეშვა და პირველი დემოკრატიული არჩევნები გაიმართა. რით არაა აღნიშნვის ღირსი ეს თარიღი? აღნიშნეს კიდევ „ელის პარკში“ აფრიკელებმა, რომლებმაც ახალი ზელანდიის ნაკრებს უმასპინძლეს და შინ გაწვდილეს გულგულად. თამაშის დაწყებამდე გუნდებს თვით ექს-

პრეზიდენტი ნელსონ მანდელა მიესალმა და ცოტა ხანში მსაჯამაც ჩასტყინა. მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას აფრიკელები, თუმცა თავიდან მაინც მათ გულშემატკივარს მოუწია ნერვიულობამ.

ზელანდიელმა მერტენსმა ჯერ ჯარიმა გაიტანა, შემდეგ კი მულიანას ლელო გარდასახა და პირველ 6 წუთში მასპინძლები უკვე ათ ქულას აგებდნენ. „ქურციკებმა“ მალევე

შეამცირეს სხვაობა, როცა ჟუბერმა ლელო დაამიწა, მონტგომერი კი ზუსტად გარდასახა და ანგარიში 7:10 გახდა სტუმართა სასარგებლოდ. საერთოდ კი ჟუბერმა ამ მატჩში პეტი თრიკი შეასრულა, რაც 1981 წლის შემდეგ ზელანდიის წინააღმდეგ ვერც ერთ აფრიკელს ვერ მოუხერხებინა. მასინდელი გმირი კი რეი მორდტი გახლდათ.

ასე თუ ისე, პირველი ლელოს შემდეგ „ქურციკები“ კვლავ აგებდნენ და დამშვიდების უფლება ჯერ არ ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ მერტენსმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და სხვაობა უფრო გაიზარდა. აფრიკელებმა მოუმატეს და მალე ანგარიშიც სათავისოდ შემოატრიალეს — ჯერ პოლსმა დაამიწა, შემდეგ კი კვლავ ჟუბერმა. მონტგომერიმ ორიდან ერთი ზუსტად გარდასახა და ანგარიში 19:13 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ.


მეორე ტაიმში „მაორებმა“ აშკარად მოუმატეს და მერტენსის საჯარიმო დარტყმის წყალობით სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს. მონტგომერიმ „ქურციკთა“ მხრიდან უპასუხა საჯარიმოთი და 6-ქულიანი სტატუსს ეყო ალაღვინა, თუმცა ამის შემდეგ ზელანდიამ უპირატესობა იგდო ხელთ და ჯო როკოკომ საუცხოო ლელო გაიტანა — 22:23 წინ ისევ უნდუმელები გავიდნენ. მონტგომერიმ და მერტენსმა კიდევ თითო ზუსტი საჯარიმო გაცვალეს და ანგარიშიც 25:26 გახდა სტუმართა სასარგებლოდ.

ამის შემდეგ კი ინტრიგა საბოლოოდ მოკვდა. მოედანზე „ქურციკები“ გაბატონდნენ და ვილერსის და ჟუბერის ლელოების წყალობით, რომლებსაც მონტგომერიმ თავისი დარტყმებითაც მიაცილა, 40:26 მოუგეს მეტოქეს.

ისიც სათქმელია, რომ აფრიკელებს უფრო დიდი სხვაობით მოგებაც შეეძლოთ. მათ 3 საჯარიმო და 2 გარდასახვა გაცვალეს, ერთხელაც თითქმის ასპროცენტული ლელოს დადებაც ვერ შეძლეს. თუმცა ამის გარეშეც კარგად მოიხიზნეს და ოთხზე მეტი ლელოს გატანისათვის პრემიალური ქულაც მოინაგრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზელანდია წლებულს 3 ერის თასს ვეღარ დაეპატრონება.

გადამწყვეტი მატჩი სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. „ქურციკები“ ავსტრალიელებს დაუპირისპირდებიან და თასიც ამ მატჩში მოგებულს ერგება.

ლალო ჟულუკიძე



... შეტევა უყვარდა

ნიუპორტ ბირში, ლოს ანჯელესის მახლობლად 75 წლისა დაიღუპა ჯორჯ იარდლეი. ამერიკაში კალათბურთის ქომაგების ახალ თაობას არ ახსოვს ეს კაცი, ძველებიც ძლივს გაიხსენებენ. იგი ძალიან დიდი ხნის წინ თამაშობდა იმ თამაშს, რომელსაც თანამედროვე კალათბურთთან შევსაერით აღარ დარჩა, მაგრამ თამაშობდა კარგად და გახსენებას ნამდვილად იმსახურებს.

50-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რომ მოვიდა, მაშინ არ არსებობდა შეტევისთვის განკუთვნილი 24-წამიანი შეზღუდვა და თამაშები 20:15 და მსგავსი ანგარიშით სრულდებოდა. მერე ასეთი წესიც დაკანონდა და შემტევემ კალათბურთმა და იარდლეიმ ერთად გაშალეს ფრთები. ჩემპიონი არასდროს ყოფილა, არც სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, მაგრამ ერთხელ ბომბარდირი გახდა და თან რეკორდიც დაამყარა — ერთ სეზონში პირველმა მოიხვეჭა 2000 ქულაზე მეტი.

ჯორჯ იარდლეი იმ თაობის კაცი იყო, ხალხს ბურთის სროლას რომ ასწავლიდა. ნახტომში ესროდა და ამსხვრევდა მისი იმის თაობაზე, რომ ზუსტი სროლისთვის აუცილებელია, იატაკს ორივე ფეხით მყარად დაეყრდნო. მომარობდა და ესროდა, ერთ ადგილს არ ტყეპნიდა...

მისმა შვილმა თქვა, კარგი მამა და ძლიერი კაცი იყო, არა იმიტომ რომ ხალხი ცნობდა და ახალგაზრდობაში ქვეყანა იცნობდაო. ერთხელ თავად უთქვამს, უბადრუკია წარსულით მაცხოვრებელი ადამიანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო.

კობე ყოჩხია

ხელბურთის კლუბი „სტუ-შევარდენი“ ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა გუნდის წევრი, საქართველოს ჩემპიონი **ლაშა გუჯუჯიანი** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

მორჩა!

უილკინსონმა ცაცია მოიხარჯა



ბურთისა და მოედანს უბრუნდება ინგლისელი ვარსკვლავებიჭუნა ჯონი უილკინსონი — ამ ამბავს აშკარად ნასიამოვნები გვაუწყებს მისი კლუბის „ნიუკასლ ფალკონზის“ მწვრთნელი, ძველი და სახელიანი მორაგბე რობ ენდრიუ.

ინგლისის ნაკრების ჯადოდადმრტყმელს პრაქტიკულად 2003 წლის ავსტრალიის მსოფლიოს თასის შემდეგ არ უთამაშა რაგბი, კისრის ტრავმისა და ოპერაციის გამო რვა თვე გაუცდა და მის არყოფნაში მსოფლიოს ჩემპიონმა ინგლისმა ექვსი ერის მოგებაც კი ვერ შეძლო. საფრანგეთს შეეშვათ, ირლანდიასთანაც კი წააგო და 2004 წლის ევროპის არაოფიციალურ ჩემპიონატზე მესამე ადგილს დასჯერდა.

„ვარჯიშებზე ყოჩაღად გამოიყურება და თანდათან ფორმაც შეეკა — ამბობს ენდრიუ — 5 სექტემბრისთვის „ციურიხ პრემიერშიპის“ (ინგლისის ჩემპიონატი) დაწყებისას, იმედია, მოედანზე გვეყოლება.“

რაც შეეხება ნაკრებს, ინგლისელი „ვარდები“ 13 ნოემბერს კანადელ „ნეკერჩხლის ფოთლებს“ თვიქნეში დაუხვდებიან და უილკინსონის ცაცია ფეხი ნაკრების თავკაც კლაივ ვუდვორდსაც გამოადგება.

უილკინსონის კლუბი ინგლისის ჩემპიონატისთვის ირლანდიაში ემზადება და დღეს სპარინგ-მატჩში დამწყებ 15-ში ჯადო-ჯონიც სწვრია.

„ნიუკასლ ფალკონზს“ უილკინსონის გარდა კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა. ამ კლუბში ითამაშებს უელსის ნაკრების ხუჭუჭა კაპიტანი კოლინ შარვისი, რომელიც მანამდე ფრანგული ტარბის მეტოქეებს აწიოკებდა.

კობე ყოჩხია



მოგვხსენებთ, ბრაზილიელი ვარსკვლავი, რობერტო კარლოსი ოდესღაც „ინტერში“ თამაშობდა, მერე კი „რეალს“ მიაშურა და იქ დიდი კარიერა განვლო, თუმცა, მისივე სიტყვების თანახმად, „სან სირო“ არ დავინყებია და ერთ მშვენიერ დღეს იქ დაბრუნებასაც არ გამორიცხავს



მე ნარსულუი დაპბრუნდები

რობერტო კარლოსის შავ-ლურჯი მოგონება

„ერთ დღესაც კვლავ სიამოვნებით მოვირგებ „ინტერის“ მაისურას — ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი და უამრავი საკლუბო ტიტულის მფლობელი — მილანში ბევრი მეგობარი დამრჩა. მოკლედ, დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება“.

მილანში რობერტო კარლოსი მართლაც ხალხის ფავორიტი გახლდათ, მაგრამ იქ რთი პოჯსონის ხელმძღვანელობით მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა, ხოლო შემდეგ კი მადრიდში წავიდა.

„იტალიის ჩემპიონატი მშვენიერი და დაძაბულია — განაგრძო ბრაზილიელმა — საერთოდ, სერია A-დან ბევრი კარგი მოგონება გამომყვა, ხოლო „ინტერის“ ქომაგად სამუდამოდ დავრჩი. იმედი მაქვს, რომ ამ სეზონში „ინტერი“ წარმატებას მიაღწევს და ყველა შეჯიბრებაში ბოლომდე ითამაშებს“.

ალბათ გეხსოვებოდა, რომ რობერტო კარლოსის „სან სიროზე“ დაბრუნების თემა პირველად არ წამოჭრილა, ბოლო წლების განმავლობაში ამაზე მუდმივად წამოიწყებოდა ხოლმე ლაპარაკი, მაგრამ საქმე საქმეზე ჯერჯერობით არასდროს მიმდგარა.

„მე ვერასოდეს დავივიწყებ პრეზიდენტ მასიმო მორატის და იმ მსხვერპლს, რომელიც მან „ინტერისთვის“ გაიღო. ახლა მე „რეალში“ ვარ და მადრიდელთა ტიტულების მოსაპოვებლად ვემზადები, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება მომავალში“ — დასძინა ფეხბურთელმა.

ბაპუშა კილია

ორი გაური სჯობს ერთს

ლუჩანო პერუჯა უბილებს დაუტოვა

ემსაპანსიური ლუჩანო გაუჩი კვლავ იტალიური გაზეთების გვერდებზეა, ოღონდ ამჯერად, როგორც ადამიანი, რომელიც „პერუჯას“ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა. „თანამდებობაზე გატარებული 12 წლის შემდეგ პოსტს ვტოვებ და კლუბის მართვის სადავეებს ჩემს ვაჟებს, ალესანდროსა და რიკარდოს ვაბარებ. ისინი „პერუჯას“ წინაშე ახალ მიზნებს დასახავენ და მათ მისაღწევად იღვწებენ“.

ალესანდრო გაუჩი აქამდეც კლუბში მუშაობდა, ოღონდ დირექტორის თანამდებობაზე, რიკარდო კი ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. ლუჩანო გაუჩის გადადგომა ორი მიზეზით გადაუწყვეტია. პირველი ის, რომ მას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლო ბრძოლისთვის მეტი დრო სჭირდება და მეორე, იგი „ნაპოლის“ პრეზიდენტიც გახდა, ხოლო იტალიური წესების თანახმად, ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლება ერთდროულად პრეზიდენტობაზე და იმავე ლიგის ორ გუნდს ერთდროულად პრეზიდენტობაზე.

„ამ წლებში „პერუჯაში“ დიდი სამუშაო გავწიე და გუნდი ისტორიულ შედეგებამდე მივიყვანე, მაგალითად, ინტერტოტოს თასი მოვაგებინე დღემდე ყურებში მიდგას ის ოჯახი, რომლებიც ხალხმა ჩემპიონატის ბოლო დღეს მომიწყო. მწამს, მათი დამოკიდებულება ჩემსა და ჩემი ოჯახისადმი ყოველთვის გულთბილი იქნება და არასდროს დაიჩრდილება წუთიერი გაუგებრობით. მათ იციან, რომ ბოლომდე მივიყვან ბრძოლას მათ



წინააღმდეგ, ვინც „პერუჯას“ მტრობდა“.

ალესანდროსა და რიკარდოს გაუჩის პრეზიდენტობით გატარებული 12 წლიდან შეიძლება სერია A-ში გაატარა, ხოლო საერთაშორისო სარბიელზე გარდა იმისა, რომ ინტერტოტოს თასი მოიპოვა, უფასო თასზე მესამე ეტაპამდე მივიდა.

ბაპუშა კილია

გპჭირდები, ფერნანდო

ხოუბუ ტაციოზი დარჩება



პორტუგალიელი ვეტერანი ფერნანდო კოუტუ ალბათ, თავის იტალიურ კლუბთან, „ლაციოსთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს საქმე ის გახლავთ, რომ კოუტუ ამჟამად უკონტრაქტოდა და საერთოდაც იყო ეჭვი, რომ იგი რომში ვეღარ დარჩებოდა, რადგან აღარ სჭირდებოდათ, მაგრამ აი, ბოლო ცნობების თანახმად, როგორც მოგახსენეთ, 35 წლის მკველი „ლაციოში“ დარჩება.

გასაგებია, რაც მოხდა: მოლაპარაკებები კლუბსა და პორტუგალიელს შორის აგერ უკვე რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა და, როგორც ჩანს, მხარეები ძირითადად ხელფასზე ვაჭრობდნენ.

ამსობაში, რომელები სატრანსფერო სარბიელზეც აქტიურობდნენ. კერძოდ, ამბობენ, რომ „ლაციო“ „ტერნანასგან“ 20 წლის ჩილელ ლუის ხიმენესს ყიდულობს. თურმე, თავად ფეხბურთელსაც ძალიან სურს „ლაციოში“ გადასვლა. გარდა ხიმენესისა რომაულ კლუბთან აკავშირებენ მკველის, სებასტიანო სივილიას მომავალსაც. სივილია „პარმაში“ და ცნობილია, რომ მას აუცილებლად გაყიდვან.

რა შეეხება ამხანაგურ თამაშებს, ბოლო შეხვედრა „ლაციომ“ სრულიად მოულოდნელად ესპანურ „კადისთან“ 0:1 წააგო. ერთადერთი გოლი მანოლო პერესმა გაიტანა, თან შეხვედრის მეორე წუთზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რომაელებმა მთლიანად ახალგაზრდული შემადგენლობა გაიყვანეს მოედანზე.

ბაპუშა კილია



„ბარსელონამ“ დაადასტურა, რომ შესაძლოა მართლაც მიაქირაოს არგენტინელი თავდამსხმელი ხავიერ სავიოლა „იუვენტუსს“, ხოლო ოსკარ ლოპესი „ლაციოს“

ზლატანამდე სპიოლა

ბაჭია ხავილოს მიაქირავენ

როგორც ჩანს, სავიოლა „კამპ ნოვზე“ საჭირო აღარ არის. მიზეზი: „ბარსაში“ შეიძინა ლუდოვიკ ეიული, დეკუ, ჰენრიკ ლარსონი და სამუელ ეტო.

სავიოლა 23 წლისაა და შეუძლია მეორე თავდამსხმელად თამაში, თუმცა ბევრჯერ ორივე ფრთის ნახევარმცველადაც გაუყვანიათ მოედანზე. ვარაუდობენ, რომ არგენტინელი ტურინელებს სწორედ იმ ნაპერწკალს შემატებს, რომელიც ასე აკლდათ ბოლო სეზონში.

„ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი: „ჩვენ ახალ ფეხბურთელებს ნამდვილად აღარ ვიყიდით, ერთი-ორი კი შეიძლება მართლაც წავიდეს. მოსალოდნელია, რომ ეს იქნება დროებითი ხელშეკრულებები, რომლის შემდეგ ეს ფეხბურთელები დაგვიბრუნდებიან“.

ერთი სიტყვით, თუ რამე არ შეიცვალა, სავიოლა „იუვენტუსს“ შეემატება, ხოლო „იუვენტუსი“ ის გუნდია, რომელიც ახლავე იჭერს საგაისო სატრანსფერო თადარიგს. როგორც ცნობილი შეიქნა, „ბებერი ქალბატონი“ მომდევნო სეზონში აისრულებს იმ ოცნებას, რომელიც წლეულს ვერ აიხდინა — ზლატან იბრაჰიმოვიჩს იყიდის. შევედმა თავდამსხმელმა ამსტერდამის „აიაქსთან“ არ განაახლა კონტრაქტი, რომელსაც ვადა 2006 წელს გაუღდის. ეს თანამედროვე სატრანსფერო სიტუაციის ენაზე იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის შემდეგ იბრაჰიმოვიჩს „აიაქსი“ გაყიდის, თორემ 2006-მდე თუ დაიცავდა, მერე თავდამსხმელი თავისუფალ აგენტად იქცევა და უკაპიკოდ დასტოვებს ამსტერდამელებს.

ბაპუშა კილია

ახანაგური მატჩი. 18 აგვისტო
ისლანდია – იტალია

იტალია

მეპარეპი: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), კრისტიან აბიატი (მილანი);

მცველები: ალესანდრო ბირინდელი (იუვენტუსი); ჯუზეპე ფავალი (ინტერი), ნიკოლა ლეგროტალიე (იუვენტუსი), მარკო მატეირაცი (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), მასიმო ოდო (ლაიციო), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი);

ნახევარმცველები: სიმონე ბარონე (პალერმო), მანუელე ბლასი (იუვენტუსი), აიმო დიანა (სამპდორია), სტეფანო ფიორე (ვალენსია, ესპანეთი), ჯენარო გატუზო (მილანი), სიმონე პეროტა (რომა), სერჯო ვოლპი (სამპდორია);

თავდამსხმელები: ფაბიო ბაცანი (სამპდორია), მარკო დი ვაიო (ვალენსია, ესპანეთი), ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი), ლუკა ტონი (პალერმო)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

კამაჩო და პერესმა კანავარო მოითხოვირეს

არსენალელი პატრიკ ვიერიას ხელიდან გაშვების მერე, მადრიდის „რეალი“ ამჯერად იტალიელი ფაბიო კანავაროს გადაბირებას ეშურება. მადრიდელი „ასის“ ცნობით, ორიოდ დღის წინ „რეალის“ მწვრთნელს, ხოსე ანტონიო კამაჩოსა და კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს უთათბირიათ და „ინტერის“ ცენტრალური მცველისა და იტალიის ნაკრების კაპიტნის შეძენა გადაუწყვეტიათ. კამაჩოს არჩევანი არ დაეწუნება: ფაბიო კანავარო 30 წლის გამოცდილი მცველია, ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი

და საჯარიმოში მაღალ ბურთებზე თითქმის უშეცდომოდ მონადირე. ესპანელთა სასურველმა იტალიელმა „ინტერის“ შავ-ლურჯი მაისურა 2002 წლის ზაფხულის შემდეგ მოიგო, იქამდე კი „პარმას“ ღირსებას იცავდა.

„ასის“ ცნობითვე მადრიდულ-მილანური მოლაპარაკება უკვე დაიწყო და სენიორ ფლორენტინო „ინტერს“ კანავაროში 10-დან 12-მილიონამდე ევროს სთავაზობს.

ლადო ხომერიკი



სტუა ფული და დიდი გული დეზანს შენება სიაგოზნებს

ფერნანდო მორინტესი, დალო პრსო, ლუდოვიკო ჟიული, ჟერომ როტენი, უგო იბარა — ეს ფეხბურთელები ამ ზაფხულს „მონაკოდან“ წავიდნენ. დიდ დეშანს ახალი გუნდის შენება უწევს და, როგორც ჩანს, მწვრთნელი საქმეს ამჯერადაც კარგად უძღვება. მოჰამედ კალონითა და ზავიერ ერნესტო ჩევიანტონით გამდიდრებულმა „მონაკომ“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენური „ნოვა გორიცა“ სტუმრად 3:0 დაამარცხა, საფრანგეთის ჩემპიონატის ორ ტურში ორივე მატჩი მოიგო და დეშანი კვლავ იმედიანადაა: „სხვა კლუბში წასვლა შემეძლო, მაგრამ გუნდის „კეთების“ პროცესი იმდენად მზიბლავს, რომ დარჩენა ვამჯობინე. ამ სეზონში გაცილებით რთული სამუშაო მელის, ვიდრე შარშან

მქონდა. წასული ფეხბურთელების სრულფასოვან შემცვლელთა მოძებნა იოლი არაა. მწვრთნელისთვის ხელახლა შენება მორიგი გამოწვევაა და ამას გამოცდილება მოაქვს. მორინტესმა, პრსომ, ჟიულიმ და როტენმა შარშან თავიანთი საქმე ფრიადზე შეასრულეს. დასანანი, რომ მათ დაგვტოვეს, მაგრამ ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ. გადახალისებულ გუნდს დიდი შრომა მოუწევს, სანამ შეთამაშდება, თუმც, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები შეძლებენ.“ „მონაკომ“ საფრანგეთის ჩემპიონატი ბოლოს 2000-ში მოიგო და ისევე როგორც სხვა ფრანგული გრანდები, „ლიონის“ სამწლიანი ბატონობის დამხობას ცდილობს. „ამჟამად „ლიონი“ საუკეთესოა და ვერ ვაჯობებთ მანამდე, სანამ მათ ღონეს არ მივალწევთ“ — თქვა დეშანმა.

გასულ სეზონში ფრანგულ გუნდები ევროთასებზე საკმაოდ წარმატებით გამოვიდნენ. „ლიონმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს უწია, „მონაკომ“ — ფინალს, ხოლო „მარსელი“ უეფას თასის ფინალში „ვალენსიასთან“ დამარცხდა. „მდიდარი ევროპული კლუბების უპირატესობა შედარებით ჯიბეთხელებზე მას შემდეგ გააბათილდა, რაც ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი გააუქმეს. არა მარტო ფრანგულმა, სხვა ქვეყნის გუნდებმაც დაამტკიცეს, რომ ფეხბურთის თამაში მდიდრებზე არანაკლებ კარგად იცინან. „დიდებსა“ და „პატარებს“ შორის სხვაობა ნელ-ნელა მცირდება და ეს სანაკრებო დონეზეც გამოჩნდა“ — აღნიშნა „მონაკოს“ მწვრთნელმა.

გაზა ხუციშვილი

ალონსო ლიგერკულს ხუთშაბათს მიაპიბისავს

ბასკური „სოსიედადისა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ხაბი ალონსო უახლოეს დღეებში ალბათ, რაფაელ ბენიტესის „ლივერპულის“ ფეხბურთელი გახდება. ესპანურ-ბრიტანული სააგენტოები კარგა ხნის განმავლობაში იტყობინებოდნენ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ, ხოლო გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივოს“ მტკიცებით, სანსებასტიანელის ჩრდილოეთს გამგზავრება ხუთშაბათს არ გადასცდება. „სოსიედადს“ კი „ლივერპული“ ალონსოში 16 მილიონ ევროს გადაუხდის.

სავარაუდოდ, ხაბი ინგლისში მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.


ლადო ხომერიკი



ბუნდესნაკრების ახალმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ გუნდის ახალი კაპიტნი „ბაიერნის“ ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი იქნებაო. სწორედ მან უნდა შეცვალოს მითიური და ამჟამად მობერებული ოლივერ კანი. „მინდოდა, ნაკრების კაპიტანი ერთ-ერთი ფეხბურთელი ყოფილიყო და არა მეკარე“ — ასე დაასაბუთა კლინსმანმა თავისი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მწვრთნელს ოლივერ კანი მაინც ხელშეუხებელ ავტორიტეტად მიაჩნია: „კანი გერმანიის ნაკრების ნომერ პირველ მეკარედ რჩება. მართალია, ჩვენ შესანიშნავი გოლკიბერები გვყავს, იენს ლემანი და ტიმო ჰილდებრანდი, მაგრამ კანს მაინც უფრო მეტი სათამაშო დრო დაეთმობა, ვიდრე მათ. ისინი უახლოესი ამხანაგური თამაშებისას შეცვლაზე შევლენ და ყველა საშუალება ექნებათ, თავიანთი ოსტატობა დაამტკიცონ“. ბავარიელ ბალაკს კი კაპიტნად კლინსმანი ალბათ ხვალ, ავსტრიასთან ამხანაგური მატჩის წინ გამოაცხადებს...

ლადო ხომერიკი

ახალი გერმანიის ახალი კაპიტანი ჯლინსმანმა ხანი ბალაკით შეცვალა



კლინსმანის ნაკრებს ბალაკი უკაპიტნებს



...და ან ცაზე ვარსკვლავები


კარლ-ჰაინც რუმენიგე

ჰი. რუმენიგე...

ქარა ბოზა ლიპზბაღბილან

ამბობენ, რუმენიგეები ბევრი არ არიან, მაგრამ მთელ გერმანიას მოედნენ, რადგან... ბოშური წარმოშობისანი ბრძანდებიანო. მოდიოთ და შეამონმეთ. შემონმებისას განსაკუთრებით გვარის უღერადობასა და დამწერლობას ჩაუკვირდით. ამ ვერსიით, რუმენიგეს საწყისი ვარიანტი რომენიკე ყოფილა, რომენიკე კი ისეთი სიტყვაა, კაცს ცეკვა-თამაშის გუნებაზე გაყენებს: ეი, რომანე...

კარლ-ჰაინც რუმენიგე პანანინა ქალაქ ლიპზბაღტში დაიბადა. ამ ლიპზბაღტს, ერთი ინტერნეტ-საიტის თქმისა არ იყოს, მასზე ცნობილი კაცის გაჩენის ვარიანტი აღარ აქვს, თუმცა ამას აბა, ჩვენთვის რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ჩვენთვის ამჟამად კალეს ბიოგრაფიის გახსენება და მასზე ჩანახატის დაწერაა მნიშვნელოვანი.



მოკლედ, კარლ-ჰაინც რუმენიგე ლიპზბაღტში, ინსტრუმენტების ოსტატის, ხელოსნის ოჯახში სამი ვაჟიდან მეორედ დაიბადა. ხელოსან მამას სახელად ჰაინრიხი ერქვა (ან შეიძლება ახლაც ჰქვია), ხოლო ჰაინრიხის სახლის ახლოს იყო მინდორი, სადაც ხალხი იკრიბებოდა, ოც-ოც პფენინგს ჩამოდიოდა და ფეხბურთს თამაშობდა. ლიპზბაღტელები ახლა იგონებენ, რომ ხუთი წლის კალე აღნაგობითა და ძალ-ღონით ბუნებას ისე ჰყავდა დაჯილდოებული, რომ ცხრა-ათი წლის ბავშვებს თავისუფლად ეჯავჯავებოდა.



1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი: არგენტინა — გერმანია. კარლ-ჰაინც რუმენიგეს ამ გოლმა გერმანიას მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა

ბში, თანაგუნდელებთან ერთად საბარგო მანქანებით დადიოდა. აქვე ვთქვათ, რომ ლიპზბაღტში „ბორუსიის“ გარდა იყო კიდევ ერთი გუნდი „ტევეტონია“, თუმცა ის შეგვეძლო სულაც არ გვეხსენებინა, რადგან გასაგებია, რომ მამის გამო შეიღებეს არჩევანის საშუალებაც არ ჰქონიათ — „ბორუსიას“ კარს მიაღწენ. „ბორუსიას“ ბევრი გუნდი ჰყავდა — მთავარი და ასაკობრივი. ისე, რუმენიგესთან რა კავშირშია და, კარგი იქნება თუ დაგვიხსენებთ, რომ საუბარია რეგიონალური ლიგის კლუბზე, რომელსაც A, B, C, D და ასე შემდეგ გუნდები ჰყავს. მოკლედ, თუ ოდესმე ქართველებსაც მოგვინდება საფეხბურთო ცხოვრების მართლა აწყობა, ჯობს საუკეთესო მაგალითებს მივბადოთ. რუმენიგეზე საუბარი კი იმით გავაგრძელოთ, რომ შვიდი წლის კალე E გუნდში აიყვანეს და 14 თა-

ვითა და ამ 31 გოლიდან 16 კარლ-ჰაინცმა გაიტანა. სხვათა შორის, ის თამაში კალეს სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში, ყველაზე მეტად კი დღემდე ის უკვირს, რატომ დააყენა მოწინააღმდეგე კარში ყველაზე დაბალი ბიჭი: „საკმარისი იყო ბურთი მეტრნახევრის სიმაღლეზე დამერტყა, რომ შემძლე ეჭვიც აღარ შემპარვოდა — კარში ვაგდებდი“. ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ რა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხმამ ამომავალი ვარსკვლავის, ყოვლად გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვის შესახებ ქალაქ ლიპზბაღტის შესასვლელ-გასასვლელი გადაკვეთა და გერმანიაში რომანკეებით გავრცელდა. წამოზრდილი კარლ-ჰაინცი ქვეყნის ყმაწვილთა ნაკრებში აიყვანეს და ინგლისში, ტურნეზე წაიყოლეს, საი-



დანაც შინ დაბრუნდა თუ არა, უკან ფოსტალიონი მოჰყვა. ფოსტალიონს ხელში წერილი ეჭირა, ხოლო წერილში ეწერა: „ქალბატონო და ბატონო რუმენიგეებო, გთხოვთ, თქვენი ვაჟი ჩვენს სკოლაში გამოგზავნოთ...“ ქალაქის ხელს არც მეტი, არც ნაკლები, „მალკეს“ წარმომადგენელი აწერდა და კონვერტზეც ამ კლუბის ბეჭედი იყო დასმული.

ამ ამბავმა მთელი ლიპზბაღტი მოიარა, ხოლო კარლ-ჰაინცის დედამ თქვა სწორედ ის, რასაც ნებისმიერი დედა იტყობდა და რაც ამ წუთას თქვენც გაიფიქრეთ: „ასეთ ასაკში ბავშვს არსადაც არ გაუშვებ“

არც გაუშვა! კალეს 17 წლამდე შინიდან ფეხიც არ მოუცვლია. ის თავის „ბორუსიაში“ C-დან B-ში, B-დან A-ში გადადიოდა და ბოლოს ვესტფალიის რეგიონალურ ლიგაში ითამაშა.

ამასობაში კი სკოლის ასაკიც გავიდა და ოჯახში კარლ-ჰაინციისთვის პროფესიის არჩევის საკითხი დადგა. თავიდან წინდების ფაბრიკაზე იფიქრეს — ქალის წინდებზე საუბარი, ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, კოლგოტკებზე — მაგრამ სად იყო და სად არა, საზნალო ბანკში ვაკანსია გამოჩნდა და რუმენიგე იქ მოეწყო.

ჭაბუკი კალე ბანკის უკიდურესად მონდომებული და წესიერი თანამშრომელი გახდა, იმდენად, რომ დირექტორი სამუშაო საათებში სავარჯიშოდ და სათამაშოდ ალაღად უშვებდა. და ასე გავიდა წელიწადნახევარი.

ბაპუნა კილია


გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში“



მიშელ პლატინი და კარლ-ჰაინც რუმენიგე




			1	X	2	1-X	1-2	X-2
ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი								
17 აგვისტო								
21.30	653	ს.კორეა-მალდი	3,0	1,5	3,0	1	1,5	1
21.30	654	საბერძნეთი-მექსიკა	1,9	3,3	3,3	1,2	1,2	1,65
21.30	655	არგენტინა-ავსტრალია	1,7	2,0	4,6	1	1,24	1,39
21.30	656	სერბია-ტუნისი	4,2	3,6	1,6	1,93	1,15	1,1
18 აგვისტო								
21.30	657	პარაგვაი-იტალია	3,6	3,2	1,85	1,69	1,22	1,17
21.30	658	იაპონია-განა	4,4	2,0	1,85	1,37	1,3	1
21.30	659	კოსტა რიკა-პორტუგალია	5,3	3,5	1,5	2,1	1,16	1,04
21.30	660	მაროკო-ერაყი	1,8	3,5	2,5	1,18	1,04	1,45
კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი								
17 აგვისტო								
10.00	1001	ახალი ზელანდია-ჩინეთი	2,3	10,0	1,45	1,86	1	1,26
	1002	ახალი ზელანდია-ჩინეთი	4:0	1,8	10,0	1,8		
12.15	1003	ავსტრალია-ანგოლა	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
	1004	ავსტრალია-ანგოლა	0:7	1,8	10,0	1,8		
15.30	1005	ლიტვა-პუერტო რიკო	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
	1006	ლიტვა-პუერტო რიკო	0:8	1,8	10,0	1,8		
17.45	1007	სერბეთი-იტალია	1,4	10,0	2,4	1,22	1	1,93
	1008	სერბეთი-იტალია	0:5	1,8	10,0	1,8		
21.00	1009	ესპანეთი-არგენტინა	1,9	10,0	1,7	1,59	1	1,45
	1010	ესპანეთი-არგენტინა	2:0	1,8	10,0	1,8		
23.15	1011	აშშ-საბერძნეთი	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85
	1012	აშშ-საბერძნეთი	0:9	1,8	10,0	1,8		



ისარგებლეთ

ხრონოს სხეული


მომსახურებით



ტელკრედიტი

TLCREDITI

10
 42 00 24
 +%



კროკო

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახლებული
ქალაქები
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმალელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუზნის „აბ“ კორპუსი №48	
მელიქიშვილის ქუჩა №15		
ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია	
წერეთლის გამზირი №141		
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურბეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
ბურჯანანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საბარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამბრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
გორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

